ა.(ა).ი.პ.სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის
2025 წლის პირველი-მეორე კვარტლის საქმიანობის ანგარიში

2025 წლის საანგარიშო პერიოდისთვის, ისევე როგორც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მშობლების მომართვიანობის საფუძველზე, მიმდინარეობს მოსწავლე სპორტსმენთა მიღება და ბავშვთა ასაკობრივი გუნდების დაკომპლექტება. აღსანიშნავია, რომ ყველა დონის მომსახურება უფასოა. დღეისათვის გვყავს 200 აღსაზრდელი, ისინი შესაბამის ასაკობრივ გუნდებში ვარჯიშობენ, გვყავს ლიცენზირებული B და C კატეგორიის მწვრთნელ-მასწავლებლები. გუნდში ჩარიცხული ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სპორტული ინვენტარით, ეკიპირებით, კვებითა და ტრანსპორტირებით. ყოველი ახალი სეზონი არის თანამედროვე გამოწვევები, რომელიც მუდმივად განახლებას მოითხოვს, როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე ვარჯიშების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

სტადიონის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობს არსებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. შესრულდა სარემონტო სამუშაოები, ,გაკეთდა და განთავსდა სარეკლამო ბანერები, მუდმივად მზადყოფნაშია მსაჯთა ოთახები, მოწესრიგებულია სველი წერტილები და გასახდელები, მწვრთნელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისად საჭირო ინვენტარით, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი, საკომუნიკაციო საშუალებები (ინტერნეტი). სტადიონზე არის დელეგატის ოთახი, რომელიც მდებარეობს გუნდებისა და გასახდელების სიახლოვეს. კლუბს აქვს ოფიციალური ელ.ფოსტის მისამართი, შემუშავებული გვაქვს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია და პროექტები, რაც ხელს უწყობს ფეხბურთელებს სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბებაში. ფუნქციონირებს საფეხბურთო გუნდი"ეგრისი"-ს გვერდი ,სადაც სისტემატიურად ხდება ინფორმაციის/შედეგების განთავსება.

მოწესრიგებულია სამედიცინო ოთახი შესაბამისი ინვენტარით და პირველადი მომსახურების მედიკამენტებით, რომელიც აკმაყოფილებს ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნებს.

ყველა შეხვედრა იმართება ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიან მოედანზე. (რომელიც მუდმივად მოწესრიგებულია და მთელი წლის განმავლობაში მზადაა მწვანე საფარი) ბუნებრივსაფარიანი მოედანი სათამაშოდ ვარგისია სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში. სისტემატურად ტარდება ელექტრონული და სანტექნიკური სისტემების შემოწმება, მოზარდთა და დიდი გუნდის საშეჯიბრო თამაშები, გუნდის პირადი ექიმის და უსაფრთხობის სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით ტარდება. რეგიონალურ ლიგაში თამაშები დამატებით პოლიციის თანამშრომლების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლების ზედამხედველობის ქვეშ ორივე კვარტალი დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.სენაკის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით დასრულდა ხელოვნურ-საფარიანი მოედნის მშენებლობა.
დაანონსდა ახალი სტადიონის მშენებლობა.

ა.(ა).ი.პ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის ბავშვთა ასაკობრივი გუნდები მონაწილეობენ სამეგრელო ზემო- სვანეთის რეგიონის ელიტ-ლიგის, ,იმერეთის და ბრინჯაოს ლიგის კალენდარულ გათამაშებაში და სხვადასხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილ ტურნირებში.

სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია:

U-10 -ფესტივალი -მწვრთნელი მიქავა გრიგოლი;
U-11 -ფესტივალი-მწვრთნელი ლევან სულაძე;
U-12- -მწვრთნელი ლევან სულაძე;
U-13- - მწვრთნელი თამაზ ხუხუა;
U-14- -მწვრთნელი რევაზ იოსელიანი
GFF ბრინჯაოს ლიგა
U-15 ბრინჯაოს ლიგა მწვრთნელი მურად კუპრეიშვილი;
ირფფ ფედერაცია
U-17 იმერეთი მწვრთნელი მურად კუპრეიშვილი;

არასაშეჯიბრო ასაკის 2 გუნდი: (გრიგორ მიქავა; ხვიჩა სანაია) „დინამოს“ ფესტივალი;

რამდენიმე წელია ვთანამშრომლობთ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდთან, სადაც წარვადგინეთ „ფეხბურთის განვითარების პროგრამა“. წარმატებით დავასრულეთ 2025 წლის კატეგორიზაციის სამუშაო პროცესი და „სფფ-ის სკოლების კატეგორიიზაციისა და მონიტორინგის ადმინისტრაციისაგან“ მივიღეთ მე-III კატეგორია, რაც ფეხბურთის სკოლის სტატუსს და 8 000 ლარით დაფინანსებას გულისხმობს. ბავშვთა მოედანზე მაყურებელთათვის გაკეთდა ლითონის კონსტრუქციის დასაჯდომები, მოწესრიგდა ტექნიკური ზონა.

მიმდინარე წელს 2012-2013-წელს დაბადებული არასაშეჯიბრო ასაკის ფეხბურთელებისათვის გაგრძელდა/გაფორმდა მემორანდუმი შ.პ.ს თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლასთან, ფინანსური მხარდაჭერა 9504 ლარი უზრუნველყო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ. ორმა გუნდმა 16-16 ფეხბურთელის შემადგენლობით მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქალაქებში გამართულ საფეხბურთო ფესტივალებში (მწვრთნელები: გრიგოლ მიქავა, ხვიჩა სანაია).

რთული მდგომარეობაა ა.(ა).ი.პ.სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის დიდ გუნდში, სენაკის „ეგრისი“ მონაწილეობს რეგიონალური ლიგის გათამაშების „გ“ ჯგუფში, გუნდში შექმნილმა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ გათამაშების ცხრილში გამოიწვია არასახარბიელო შედეგი. ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული თანხა 50 000 ლარი არ არის საკმარისი გუნდის სრული დაფინანსებისათვის.

სენაკის საფეხბურთო კლუბის თითოეული თანამშრომელი ჩართულია ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქვთ არსებული რესურსების/შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.

დღითიდღე იზრდება ბავშვთა ასაკობრივ გუნდებში მოსწავლეების დაინტერესება. ამ მხრივ წინა წლებთან შედარებით გვაქვს დადებითი წინსვლა, ვიმედოვნებთ ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ წინააღმდეგობების დაძლევას.

ა.(ა).ი.პ.სენაკის მუნიციპალიტეტის
საფეხბურთო კლუბის დირექტორის მ/შ
43986106
გ.ჩიქობავა